მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი, როგორც შემეძლო"...

# ნიკოლაძის გზით



ეროვნულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი № 12 (266) 27 დეკემბერი ოთხშაბათი, 2017 წელი; ფასი 1 ლ.

## გილოცავთ ყველას შობა-ახალ წელს ძვირფასო ფაზისელებო!

ღმერთო, ქართველებს შეაყვარე ერთმანეთი! აარიდე შური, მტრობა, გაუტანლობა...



ილია II
40 წელი მძიმე
ჯვარით ხელში.
ვულოცავთ სრულიად
საქართველოს სულიერი
ლიდერის აღსაყდრების
დიდ იუბილეს

**„25 დეკემბერსა ქრისტე იშვა ბეთლემსაო"**
დიახ, იშვას იგი თითოეული ქართველის გულში. თუ ჩვენში იმეფებს, ერთად ვიქნებით, ეშმაკიც ვერ მოგვერევა
ალილოს გვიგალობენ ანგელოზები



## შობა-ახალ წელს გვილოცავენ



**ქ. ფოთის მაჟორიტარი დეპუტატი, პარლამენტის წევრი ირაკლი ხახუბია**
მე-3-გვ



**ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა კურდღელია**
მე-3-გვ



**ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი კაკულია**
მე-3-გვ

ტროპარი: შობამან შენმან ქრისტე ღმერთო, აღმოუბრწყინვა სოფელსა ნათელი მეცნიერებისა, რამეთუ, რომელნი ვარსკულავსა მსახურებენ, ვარსკულავისაგან ისწავლეს თაყუანის-ცემა" შენი, მზეო სიმართლისაო, რომელი აღმობრწყინდი მაღლით აღმოსავალთად, უფალო დიდება შენდა.

**პრეზენტაცია**



**ჭაბუკი ქორიავა**
„კუნძული სოხუმი"
მე-5-გვ



სტალინის დაბადების დღეს „ფაზისის" აკადემიის მუზეუმს ეწვია და „არგოს" მოდელი უსახსოვრა
მე-5-გვ



**ფაზისის აკადემია მოქმედებს და ზრუნავს**
ხელები შორს კოლხური ცივილიზაციის აკვნის ნგრევისაგან!
**ბიბლიური ნოსირი გვიხმობს**
ჩოჩელებო და ბოკერიებო, გაეთრიეთ კოტიანეთიდან. უარი სოფელ ნოსირში ცემენტის ქარხნის მშენებლობას.
მე-2-გვ

აღმოსავლური კალენდრის მიხედვით 2018 წელი ყვითელი ძაღლის წელია
გვიფეხე ბროლის (ცუხი ბედინერი)




**ბროლია, შენებური მეგობრობა**
**და სიკეთე დაგვიბედე,**
**ქვეყანას სიმდიდრე, სიუხვე,**
**შვილთა სიმრავლე და ბედნიერება უფეხე**

**სპორტი**

ლაშა ტალახაძე მსოფლიოს რეკორდსმენი -
მე-2-გვ



# გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს ძვირფასო ფაზისელებო!

*ქალაქის ახალ ხელმძღვანელობას ვუსურვებთ წარმატებებს პოლიტიკურ ასპარეზზე, ყველა პარტიასთან, ფოთელებთან ერთად ერთობლივი ძალისხმევით ფოთის სტრატეგიული ფუნქციის ,,აბრეშუმის გზის" ფორპოსტის, ისტორიულ ფაზისის ეკონომიკურ და კულტურული ცენტრის ფუნქციის აღდგენას.*

## ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი მამუკა პაპასკირი



მამუკა პაპასკირი
დაბადების თარიღი: 02.11.1962
დაბადების ადგილი: ქ. სენაკი
სამუშაო გამოცდილება:
1989-1990 წლები - ქ. ფოთის მეთევზეთა კოლმეურნეობა "კოლხეთი"- იურისტ-კონსულტი;
1993-2002 წლები - ქ. ფოთის რეგიონული ტრასპორტის პროკურატურა-უფროსი გამომძიებელი;
2002-2003 წლები - ქ. ფოთის რეგიონული სამხედრო პროკურატურა - პროკურორის მოადგილე;
2003-2004 წლები - ქ. ფოთის პროკურატურა - ქალაქის პროკურორი;
2004-2005 წლები - შსს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სასაზღვრო სამიგრაციო კონტროლის განყოფილება "სარფი"-ს უფროსი;
2005-2009 წლები - შსს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული და დაზვერვის განყოფილების უფროსი;
2011 წლიდან - 2017 წლის 13 ნოემბრამდე-სსიპ "საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური" - დირექტორის მოადგილე.
განათლება:
1979-1989 წლები - ქ.დონის-როსტოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი-იურიდიული ფაკულტეტი;
ფლობს ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებს.
ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ვულოცავთ შობა-ახალ წელს ბატონ მამუკას და ვუსურვებთ წარმატებებს პირად და საზოგადო ცხოვრებაში.

## ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ირაკლი თოფურია



ირაკლი თოფურია
დაბადების თარიღი: 14.07.1971 წ.
დაბადების ადგილი:
სამუშაო გამოცდილება:
1988-1989 წლები - ქ. ფოთის საგზაო-სარემონტო სამშენებლო კანტორა-მუშა;
1994-1996 წლები - ქ. ფოთის საგზაო-სარემონტო სამშენებლო კანტორა-ოსტატი;
1996-2008 წლები - შპს „ფოთიპორტმშენი" - მშენებელ-ინჟინერი;
2008-2017 წლები - შპს „ენემი"-დამფუძნებელ-დირექტორი.
განათლება:
1989-1994 წლები - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ფაკულტეტი-ინჟინერ-მშნებელი;
ფლობს ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებს.
ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ვულოცავთ შობა-ახალ წელს, ვუსურვებთ წარმატებებს ახალ პოლიტიკურ ასპარეზზე!

**სპორტი**

## ლაშა ტალახაძე მსოფლიოს ჩემპიონი და რეკორდსმენია




ამერიკის შეერთებულ შტატებში ძალოსნობის მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნითი დღე გაიმართა.

დასკვნით დღეს საქართველოს სახელით, მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ლაშა ტალახაძემ იასპარეზა.

ვიდკი 220 კილოგრამი დააფიქსირა, რაც მსოფლიო რეკორდია. აღსანიშნავია, რომ ტალახაძემ მისი მთავარი კონკურენტის, ირანელი ბეჰდად სალიმიკორდასიაბის მიერ ოლიმპიურ თამაშებზე დამყარებული რეკორდი მოხსნა. ატაცის მსგავსად, აკვრაში ტალახაძემ სამივე ცდა გამოიყენა, 257 კილოგრამი დააფიქსირა და მეორე მცირე მედალი მოიპოვა. ორჭიდის ჯამში ქართველმა ძალოსანმა 477 კილოგრამი დააფიქსირა, რაც ასევე მსოფლიო რეკორდია. 477 კილოგრამით ლაშა ტალახაძემ მსოფლიო ჩემპიონატზე ოქროს მედალი მოიპოვა და ზედიზედ მეორედ მსოფლიო ჩემპიონია.

## ფოთს ნასას გამორჩეული ასტრონავტი ჰაიდი ფაიფერი ეწვია



შეხვედრა ცნობილ ამერიკელ ასტრონავტთან

ფოთს აშშ-ის საზღვაო ძალების კაპიტანი და ნასას გამოჩენილი ასტრონავტი ჰაიდი ფაიფერი ეწვია. მეექვსე საჯარო სკოლის ეზოში სტუმარმა საფუძველი ჩაუყარა ქართულ-ამერიკულ ბაღს, სადაც ნაძვის ხე დაირგო. სკოლის მოსწავლეებმა სტუმარს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს. ჰაიდი ფაიფერმა, უფროსკლასელებს, თავის ცხოვრებასა და ნასას ექსპედიციაში მიღებულ გამოცდილებაზე, უამბო. ასტრონავტმა ხომალდ „შატლით" კოსმოსურ სადგურზე, ორჯერ განახორციელა ფრენა, სადაც ეკიპაჟთან ერთად ტექნიკური სამუშაოები შეასრულა. მან კოსმოსში სულ 27 დღე დაჰყო. „როცა დედამიწას გაცდები, ხვდები წყვდიადში. სწორედ მაშინ აცნობიერებ თუ რა ძვირფასია ჩვენი პლანეტა, რომელსაც ძალიან უნდა გავუფრთხილდეთ. არ არის გალაქტიკაში სხვა ადგილი, სადაც ადამიანი შეძლებდა ცხოვრებას."–აღნიშნა ჰაიდიმ. ამერიკელი ასტრონავტი იმედოვნებს, რომ მისი ნაამბობი იქნება გამოწვევა ახალგაზრდა თაობისათვის და შთაგონების წყარო, ახალი აღმოჩენებისათვის. აშშ-ის გამოჩენილ ასტრონავტსა და საზღვაო ძალების კაპიტანს ფოთის მუნიციპალიტეტის სახელით სამახსოვრო საჩუქარი გადასცა, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა ინგა მასხულიამ. ჰაიდი ფაიფერი აშშ-ის საზღვაო ძალების კაპიტანია. მან მესეჩუსეტის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი დაამთავრა და 1985 წელს საზღვაო ძალებს შეუერთდა, სადაც წყლისქვეშ ურთულეს ტექნიკურ ოპერაციებს ასრულებდა. 2006 წელს ის ნასას ექსპედიციას შეუერთდა, რომლის ფარგლებში, კოსმოსში ორი ფრენა განახორციელა. დღეს ის, ინსტრუქტორის რანგში, კვლავ საზღვაო ძალებში მოღვაწეობს. ფოთში სტუმრობა ამერიკის საელჩოს გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი კამპანიის ფარგლებში განხორციელდა.

# შობა-ახალ წელს გვილოცავენ თანაქალაქე-

### რობერტ გვაზავა
### შპს „კავტრექსფოთის" გენ. დირექტორი



ახალი წელი ყოველთვის არის ერთგვარი ნიშანსვეტი ფიქრისა და განჯისათვის, საით მივდივართ, წინ თუ უკან?

მიუხედავად სირთულეებისა, თანდათან იკვეთება ახალი კონტურები, ფოთი საპორტო ქალაქი, კვლავ დაიკავებს ღირსეულ ადგილს ახალ ,,აბრეშუმის გზზე".

მთავარია გქონდეს ხვალინდელი დღის რწმენა, გვიყვარდეს ერთმანეთი, დავეხმაროთ ერთმანეთს, ყველაზე დიდი კაპიტალი ხომ ადამიანთა შორის ურთიერთობაა.

ძვირფასო თანაქალაქელებო, ამ იმედებით გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს, დაე, გაგაძლიეროთ ღვთის რწმენამ და სიყვარულმა.

### ირა ფაცია
### ფირმა „გზამშენი-2013" მთავარი ინჟინერი



ახალი იმედებით ვხვდებით ახალ წელს, რომ იგი იქნება ახალი საქმეების დასაწყისი, ადამიანებს ექნებათ ნორმალური ცხოვრების პირობები, სამუშაო, რათა აღასრულონ თავიანთი მოვალეობა ოჯახისა და ქვეყნის წინაშე, სამწუხაროდ, ზოგს ავიწყდება რომ ადამიანები უკვდავები არა ვართ, რომ ერთმანეთის დანდობის, სიყვარულის გარეშე აზრი არა აქვს ცხოვრებას, ამიტომ გვაკლია ბევრი რამ, იმედია, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ღვთიურ გზას დაადგება და სიყვარულით გაგვაერთიანებს, ღმერთმა დაგლოცოთ, მრავალ ახალ წელს სიხარულით შეხვედროდეთ!

### ჯუმბერ ცომაია
### შპს ,,მნპ"-ის გენერალური დირექტორი



მოდის ახალი წელი და მას ახალი სურვილებით, იმედებით და მოლოდინით ვხვდებით, იმედია 2018 წელს კიდევ ერთ ნაბიჯს გადავდგამთ ქვეყნის წინსვლა-განვითარების საქმეში, ცხოვრება ნელა, მაგრამ იცვლება უკეთესობისკენ, მთავარია,ყველას ერთი მიზანი-სამშობლოს წინსვლა, ქრისტიანული რწმენა გვაერთიანებდეს.

ახალი წლის და ქრისტეშობის დღესასწაული განუყოფელია, ღვთიურობის საწყისთან მივდივართ და ძალიან მინდა ქრისტე იშვას თითოეულ ჩვენგანის გულში. საქართველო რწმენამ მოიყვანა აქამდე და მას გაფრთხილება სჭირდება, ,,ენა, მამული, სარწმუნოება" ჩვენი უკვდავი საუნჯეა, უნდა შევინარჩუნოთ იგი. თუ გვინდა დავრჩეთ ქართველებად.

დაე, ყველა ოჯახისათვის სიხარული და ბედნიერება მოუტანოს ამ წელს, იხარეთ მრავალჟამიერ!

# შობა-ახალ წელს გილოცავენ ხელისუფლების წარმომადგენლები!

საქართველოს გზა ეს არის ქრისტეს გზა, გზა ჯვარცმის და გარდაუალი აღდგომისა. შევაჩეროთ პატრიოტიზმით სპეკულაცია, რწმენის ზნეობისა და ადამიანური ღირებულებების გაუფასურების პროცესი, პატივი ვცეთ ყველას უფლებებს, მაგრამ არა ჩვენი ღირსებების და ცვლილებების ევალვაციის ხარჯზე. კეთილდღეობა, ამაღლებული განწყობა, სიმდიდრე და სიხარული დაგბედებოდეთ!

ახალი ხედვით, დაუღალავი შრომით შევცვალეთ რეალობა, დაუბრუნეთ რწმენა და განწყობა ადამინებს, მიეცით ფოთელებს თავიანთი ძალების, ნიჭის რეალიზების საშუალება.

## ქ. ფოთის მაჟორიტარი დეპუტატი პარლამენტის წევრი ირაკლი ხახუბია



### ძვირფასო ფოთელებო! გილოცავთ ახალი წლის შემობრძანებას!

გასული, 2017 წელი მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ქვეყნისთვის და ქალაქისათვის! ეს იყო ისტორიული წელი, რომელმაც კიდევ უფრო დაგვაახლოვა ევროპასთან! 28 მარტიდან საქართველოს მოქალაქეებს შენგენის წევრ ქვეყნებში უვიზოდ მიმოსვლა შეუძლიათ.

2017 წელს ჩვენს ქალაქში დაწყებული პროექტები შეირჩა პრიორიტეტების მიხედვით, რომელთა მეშვეობითაც, ფოთი ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით უფრო მეტად განვითარებული ქალაქი იქნება!

ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერით, დაიწყო ქალაქის განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი - მალთაყვის სანაპირო ზოლის მშენებლობა, რომლის საერთო ღირებულება 18,5 მლნ ლარს შეადგენს. პირველი ეტაპი დასრულდა, მოეწყო 300 მ სიგრძის ბულვარი და დასრულებულია 4,3 კმ სიგრძის ახალი გზის მშენებლობა. მალთაყვის რეკრეაციული ზონის განახლება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ტურიზმის განვითარებას. უნდა ვეცადოთ ქალაქი შემოვაბრუნოთ ზღვისკენ, მაქსიმალურად გამოვიყენოთ მისი პოტენციალი და მალთაყვა გახდეს ქალაქის სავიზიტო ბარათი.

2017 წელს მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტებიდან გამოვყოფდი საფეხბურთო კლუბ ფოთის კოლხეთის საფეხბურთო სტადიონზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებს რომელიც ახლა დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს და მალე გაახარებს ფოთოთელებს.

გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სერვისის გაუმჯობესების მიზნით, ქ. ფოთში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ახალი ცენტრის მშენებლობა მიმდინარეობს. წლებია სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრს ქალაქ ფოთში საკუთარი შენობა არ გააჩნია. ახალი შენობა განთავსდება მშვიდობის ქუჩაზე. იგი გათვლილია 7 სამედიცინო ბრიგადაზე, ერთი ბრიგადის დამატების პერსპექტივით. პროექტის საერთო ღირებულება შეადგენს 371 ათასს ლარს, მშენებლობა 2018 წლის აპრილში დასრულდება.

მიმდინარე წელს განვახორციელეთ საბავშვო ბაღების გაზიფიკაციის საპროექტო სამუშაოები და 2018 წელს გაზიფიცირდება 5 საბავშვო ბაღი 6, 10, 12, 13, 16. სამუშაოებს გავაგრძელებთ და ეტაპობრივად სრულად მოვახდენთ ყველა სკოლამდელი დაწესებულების გაზიფიცირებას. ამასთანავე კიდევ ერთი ახალი საბავშვო ბაღი შეემატება ჩვენს ქალაქს. ლტოლვილთა დანიის საბჭოს და საქართველოში პოლონეთის საელჩოს მხარდაჭერით მალთაყვაში, ფოთს ექნება საუკეთესო სპორტული დარბაზი, საცურაო კომპლექსით. მომავალ წელს დაიწყება ქალაქის შემოსასვლელში ახალი ოთხზოლიანი ხიდის მშენებლობა, რომელიც პირდაპირ ნავსადგურს დაუკავშირდება. იზრდება ნავსადგურის ტვირთბრუნვა, ჩვენი ქალაქი გახდება ლოჯისტიკური ჰაბი. არსებულ ჰიდროკვანძის რეაბილიტაციაზე დაიხარჯება მილიონი ლარი. მადლობა მინდა გადავუხადო ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებს, ამ დიდი პროექტების მხარდაჭერისთვის, რომელიც 2 წელიწადში უნდა განხორციელდეს ქალაქ ფოთში.

ძვირფასო ფოთელებო! გილოცავთ შობის ბრწყინვალე დღესასწაულს და ახალ წელს! დაე, იგვი თქვენთვის და სრულიად საქართველოს, ყოფილიყოს წარმატებებისა და ახალი მიღწევების წელი!

## ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა კურდღელია



### ძვირფასო თანამოქალაქეებო

21 ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნებში თქვენმა დიდმა მხარდაჭერამ, საშუალება მომცა მერის რანგში მოგილოცოთ დამდეგი ახალი წელი.

ჩვენი ქალაქი დიდი გამოწვევის წინაშე დგას. გრძელდება წინა წლებში დაწყებული ინფრასტრუქტურული პროექტები, საფუძველი ეყრება ახალ მშენებლობებს.

2018 წელი გარდამტეხი უნდა იყოს სანიაღვრე, წყალსაკანალიზაციო კომუნიკაციების, გზებისა და ქუჩების კეთილმოწყობის საკითხების მოგვარებაში. ჩვენ საბოლოოდ უნდა გადავწყვიტოთ ყველა ყოფითი პრობლემა და შემდეგ ეტაპად დავისახოთ ქალაქის განვითარება, მისი სატრანსპორტო, სამრეწველო, ტურისტული პოტენციალის გამოყენებით.

საწყის ეტაპზეა საცურაო აუზისა და სპორტული კომპლექსის მშენებლობა, მალე ქალაქს თანამედროვე სტანდარტების ფეხბურთის სტადიონი ჩაბარდება, მომავალი წლიდან ამოქმედდება საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი...

ჩვენ ყველა პირობა უნდა შევუქმნათ მოსწავლე-ახალგაზრდებს სწავლის, გართობისა და დასვენებისათვის...

დიდია ჩვენი და ჩვენი გუნდის წინაშე დასახული ამოცანების ჩამონათვალი.

ამიტომაც, რაც შეიძლება ვისურვოთ ახალ წელს, ეს არის მშვიდობა, ჯანმრთელობა, ღვთის შეწევნა, ფოთელთა ერთად დგომა და ერთი საერთო მიზნისთვის, ფოთის საკეთილდღეოდ გაერთიანება.

მინდა 2018 წელი მივულოცო და ხვავი და ბარაქა ვუსურვო, თითოეულ ფოთელს, ქალაქის სტუმარს, სრულიად საქართველოს ...

## ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი კაკულია:
## 2018 წელი იყოს მშვიდობის აღმშენებლობის, და წინსვლის წელი!



ასეა მუდამ, ახალი წელი იმედითა და სიკეთით აღავსებს ადამიანს, რაც, პირველ ყოვლისა, შობის მადლითა და ღვთის შეწევნით არის განპირობებული. წელთა მიჯნაზე, ტრადიციისამებრ ვაფასებთ, ვაჯამებთ განვლილ წელს და ახალ სამომავლო ამოცანებზე ვსაუბრობთ. 2017 წელი საქართველოსათვის პოლიტიკური და სოციალური თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი გამოდგა. ჩვენი ქვეყანა დაუახლოვდა ვიზა ლიბერალიზაციის პროგრამის ამოქმედებით დიდ ევროპულ ოჯახს და დასავლეთის დემოკრატიულ, ცივილიზაციის რეალიებს. ქვეყანაში მკვეთრად გამოიკვეთა ის ტენდენცია, რასაც განვითარება და აღმშენებლობის ფუნდამენტური მასშტაბები ქვია. 2017 წელს გამართულმა ადგილობრივი მართველობითი ორგანოების არჩევნებმა გვიჩვენა, რომ პოლიტიკური გაერთიანება ,,ქართული ოცნება" კვლავ რჩება ქვეყნის დემოკრატიული და სოციალური განვითარების ფლაგმანად. მმართველი პარტია და მთავრობა, კვლავაც ინტენსიურად განაგრძობს დაწყებული პროგრამებისა და პროექტების რეალიზაციას.

ფოთს უნდა მიეცეს საერთაშორისო ტურიზმის ერთ-ერთი ცენტრის სახე, რომლის პირობების შესაქმნელად არის დღეს მოტივირებული ქალაქის მუნიციპალიტეტის ახალი ხელმძღვანელობა.

ამასთან ერთად 2018 წლიდან გაგრძელდება მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები: სტადიონი, წყალლარინების სისტემის რეაბილიტაცია, ქუჩების, საცხოვრებელი სახლების და ეზოების კეთილმოწყობა და სხვა.

ერთი სიტყვით წინ კიდევ ბევრი საზრუნავი და საკეთებელია. რასაც ქალაქის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო მთავარ ორიენტირად მიიჩნევს.

ვისურვებ სიკეთით, სიხარულით, კეთილგანწყობითა და უფლის მადლიერებით მობრძანებულიყოს ახალი 2018 წელი ყველა ფოთელის ოხაში.

მრავალ ჟამიერ საქართველო! მრავალ ჟამიერ ფაზის-ქალაქო!

## ახალი წელი და სიახლეების მოლოდინი
### შობა რწმენისა და ახალი დროებისა

ახალი წელი შობით იწყება-მატერიალური და სულიერი განზომილების ერთობლიობით. მისი საფუძველი, მშობელი წარსული დროა, დრო დატვირთული უამრავი ქარტეხილებით, წინააღმდეგობებით, კარგი და ცუდი საქმეებით.

მნიშვნელოვანი მოვლენებით იყო აღსავსე გასული წელი მსოფლიო მასშტაბით, რომლის ნაწილია ჩვენი პატარა ქვეყანაც. პოლიტიკური ბატალიები ომები გაუბედურებული ადამიანები, რელიგიათა დაპირისპირება, ტერაქტები და შიში, უნდობლობა და სიღარიბე. აი, საახალწლო პარამეტრები, სამწუხარო რეალიები და მაინც გარდატეხის მოლოდინი, მსოფლიოშიც და ჩვენს პატარა ჯვარცმულ მიწაზე, და ძლიერნი ამა ქვეყნისანი თავიანთი გავლენის სფეროებზე მრავალგვარი მეთოდებით ზრუნავენ, მათ შორის დემოკრატიული რევოლუციებით, შინა არეულობებით და უამრავი სხვა საბაბით.

თავისუფლება, დემოკრატია დამოუკიდებლობა-შეუცვლელ სლოგანებად რჩება. 30 წელია ცვლილებებს ველით ყველა მიმართულებით, თუმცა, ცხოვრება თავისი გზით მიდის. პოლიტიკოსები და ოლიგარქები ერთიანდებიან, რათა უკეთ აითვისონ სიმდიდრეები და სიღარიბით მართვა მთავარ ორიენტირად აქციონ, თორემ უზრუნველყოფილი კაცი გონება გახსნილიცაა და იდეებიც აწუხებს. თავსაც იოლად არ დაგაჩაგვრინებს. ასეთ კაცებს აქვთ სამშობლოს განცდა. თუმცა ბევრს იძულებით დაატოვებინეს იგი, სიღარიბის, გაჭირვების გამო. სამშობლოს განცდაც თანდათან უფერულდება. რამეთუ იგი ვალია, პასუხისმგებლობაა ოჯახის, ახლობლების და ქვეყნის წინაშე. იგი კაცობას, სიყვარულს, რწმენას და ღვთისნიერებას მოითხოვს. ცხადია, ქონების დაგროვების და ფულის შოვნის პოლიტიკური და სახელისუფლებო მარათონისას ამისთვის დრო არ რჩება. სულ სხვაგან ქრის მათი გონება. ხან პარტიას რომ ირქმევენ, ხან მოძრაობას. თანაც ,,ნაც" მოძრაობას და ხან კიდევ რას ხალხის გასაბრუებლად და ასაყოლიებლად.

ყველა წელი ერთმანეთს ჰგავს. დაპირებები და მოლოდინი. ადამიანები სულ რაღაც ახლის, ბედნიერებისა და ნორმალური ცხოვრების მოლოდინში არიან და ყოველი ახალი წელიც ისევ აჩენს ამ მოლოდინს, მიუხედავად ათასი პრობლემებისა, გვიხარია მისი მოსვლა, როგორც ახალი ათვლის წერტილისა, ახლის დასაწყისისა, იქნებ რამე შეიცვალოს ამ წამხდარ სამყაროში, სადაც ათეული წლებია თითქმის არაფერი იცვლება ჩვენდა სასიკეთოდ, საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება თითქოს რაღაც მოჯადოებულ წრეში მოექცა იცვლებიან ხელისუფალნი, დასასრული კი თითქმის იდენტურია-კრახი უკმაყოფილება, სამივე პრეზიდენტის ბედი ამის დასტურია. ისევ ბანაკებად დაყოფილი საქართველო, ორსახოვანი, დაუნდობელი, გათითოკაცებული, გაორებული ქვეყანა, გაორებული ეკლესია-ეროვნული და ლიბერალური არადა, ღმერთი ერთია და სამშობლოც. ყველაფერში ერთი ხელწერაა, ერთი მიდგომა, კოსმოპოლიტიზმი, სიცარიელე. საქართველოს გვართმევენ თვალდახელშუა და ესეც იუმორის თემად იქცა. არადა, სულ სხვაა ქართული რწმენა და ზნეობა, ხელოვნება, კულტურა მეცნიერება, ტრადიციები, სულ სხვაა ქართული ლექსი, ქართული ცეკვა და სიმღერა, გენიალური და გამორჩეული. ეს უცვლელი ფენომენია, სათუთი, მარადიული, არცერთ ხელისუფალს არააქვს უფლება შეეხოს მას, სამწუხაროდ სახელმწიფო საქმეს ხშირად ვაბარებთ, არასახელმწიფოებრივად მოაზროვნე კაცებს, რომელთაც არა აქვთ სამშობლოს განცდა, პასუხისმგებლობა, შიში და რიდი ამ უზენაესი ღირებულებებისადმი, სულიერების სიმბოლოებისადმი. სააკაშვილის 9 წლიანმა რეჟიმმა შეარყიია ეს ციტადელი, ეს იყო ადამიანურ ღირებულებათა, მათ შორის ეროვნულ ღირებულებათა გაუფასურების წლები, რომელიც დიდხანს იქნება თავსატეხი. თუმცა უფრო ჭკუის სასწავლებელი. მაგრამ მავანი არ ისვენებს და ქვეყნის ამაოხრებელს ისევ ტენის პოლიტიკურ ასპარეზზე, ისევ ის გიჟური აღტკინება, ხალხზე ,,დამაშვრალი", ძალაუფლებისათვის მებრძოლი, ხალხის უბედურებით სპეკულირების დიდოსტატი, დემოკრატიის შუქურა, ვინ იფიქრებდა ისევ ამ წრეზე მის გაშვებას, ყველაფერი ჩვენი პოლიტიკური უმწიფრობის ბრალია, სნამ ვისხდებით დემოკრატიის მერხებთან. ხელისუფლება და სახელმწიფო შეეზარდა ერთმანეთს, როგორც საკუთრებას ისე განაგებდნენ ქვეყანას, ყიდულობდნენ და ყიდნენ. ასე მოკლეს დემოკრატია, მოკლეს პოლიტიკა და იმედი ხვალინდელი დღისა, ამის გამოსწორებას კიდევ ბევრი წელი დასჭირდება, საქართველოში ვერადავერ ჩამოყალიბდა პარტია კლასიკური გაგებით. 200 პარტიაა რეგისტრირებული ამ პატარა ქვეყანაში. გადის დრო რევოლუციიდან რევოლუციამდე. ერთი პარტიის ამოცანა მეორე პარტიის დამხობაა, იყო სამოქალაქო ომი, რევოლუციები ვარდებით თუ უვარდოდ, ერთმანეთის ლანძღვა გინება და არა თანამშრომლობა-ბრძოლა ერთი მიზნისათვის, ქვეყანა ხომ ერთია!

ყოველ სახელისუფლებო ცვლილებას ხალხის გაჭირვება, აუტანელი ვითარება განაპირობებდა და სახელდახელოდ შექმნილი პარტიებიც იმარჯვებდნენ, და ამ გამარჯვებასაც სათავისოდ იყენებდნენ. ბიძინა ივანიშვილი შეეცადა საქმის გამოსწორებას, ერთ კაცს დაეკიდა ქვეყანა, არადა, დიდი გზაა გასავლელი ნორმალური სახელმწიფოს ჩამოსაყალიბებლად-გამართული სტრუქტურებით, ინსტიტუტებით უნდა დაჩქარდეს ოცნების პარტიად ჩამოყალიბება, დემოკრატიულ პრინციპებზე, ეროვნულ ნიადაგზე, თორემ სააკაშვილის მობრუნება არავის დააყრის ხეირს. ყველაფერზე არ უნდა უქნიოთ თავი დასავლეთს, ჩვენ ჩვენი გზა გვაქვს მტერთანაც და მოყვარესთანაც და თავად უნდა მოვაგვაროთ პრობლემა.

მინდა დავიჯერო, რომ ეს წელი ახალ პოლიტიკურ ცხოვრებას დაუდებს სათავეს, ახალი ხედვებით ახალ გამოწვევებს ახალგაზრდებმა უნდა გასცეს პასუხი, ახალებური აზროვნებით, ინტელექტით, რითაც დაიმკვიდრებენ თავიანთ ადგილს პოლიტიკურ არენაზე და არა რევოლუციებით და დროშის ქნევით. ქუჩიდან მოსულთა დრო და პატრიოტიზმით სპეკულაცია უნდა დამთავრდეს.

თანდათან იკარგება ყველაზე დიდი სიმდიდრე, ადამიანური ურთიერთობები. უჭირთ ადამიანებს, ვერ უძლებენ ცხოვრებას, კარგავს ცხოვრება ხალისს-განწყობას, იჩაგრებიან, შიში და აპათია ემუფლებათ საკუთარი უძლურების გამო-სათავე სიღარიბეა-,,პატარა ჯვარცმა", ნუ წავართმევთ ადამიანს ცხოვრების, სიცოცხლის უფლებას, არადა, ქვეყანა ასე დიდია...

წლები კიდევ ბევრი წავა და მოვა, ოღონდ შევინარჩუნოთ ქართული გენი-სიცოცხლე ერისა, ქართველობა და რწმენა, კულტურა და ტრადიციები არ გავიყოლოთ, რამეთუ ,,დროს მიაქვს ყველა ძველი, ჩვენი კაცობის გარდა"...

დრო არ ჩერდება, თავის გზით მიდის, მარადიული გზით და მოდის ახალი, ეს ჩვენ შეხვედრას გაუმარჯოს, შობა-ახალწელს გილოცავთ!

ზ. აბრალავა

## *ისტორია დედაა ჩვენი:* შორს ხელები კოლხური ცივილიზაციის აკვნის ნგრევისაგან
## ბიბლიური ნოსირი ცემენტის ქარხანას უნდა შეეწიროს?
## „ფაზისის"აკადემია მოქმედებს და ზრუნავს



2017 წლის 21 ნოემბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან არსებული ეროვნული უსაფრთხოების სახელმწიფო კომისიის სპეციალურ სამეცნიერო სხდომაზე (რომლის სრულუფლებიანი წევრი ბატონი ნუგზარ ნადარაია გახლავთ) განიხილეს სენაკის რაიონის სოფელ ნოსირში ცემენტიოს ქარხნის მშენებლობის მიზანშეწონილობის საკითხი. სხდომას თავმჯდომარეობდა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე. ესწრებოდნენ აკადემიკოსები როინ მეტრეველი, ელიზბარ ჯაველიძე და აკადემიის სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელები, დელეგაცია სენაკის რაიონიდან.

გთავაზობთ ამ აქტუალური და მტკივნეული, უკვე პრობლემად ქცეული საკითხის განხილვის მასალებს. დასკვნები თქვენთვის მოგვინდვია ძვირფასო მკითხველო. ველით თქვენ გამოხმაურებებს. შემოგვიერთდით გადავარჩინოთ კოლხური ე.ი. ქართული ცივილიზაციის უტყუარი წალკოტი განადგურებას.

შორს ხელები კოლხური ცივილიზაციის აკვნის ნგრევისაგან!
ჩოჩელებო და ბოკერიებო გაეთრიეთ კოტიანეთიდან.
უარი სოფელ ნოსირში ცემენტის ქარხნის მშენებლობას.

მე-5 საუკუნეში მურვან ყრუმ ურნალებით „დაანგრია ციხე იგი სამზღუდე" ნოეს ქალაქი (ნოქალაქევი).

21-ე საუკუნეში ჩოჩელ-ბოკერიებს სურთ მძლავრი აფეთქებებით დაანგრიონ 38 მითაჟამინდელი უნიკალური კოლხური კულტურის ძეგლი. უნაგირას მთის მწისქვეშეთში არსებული ბუნების ნაქანდაკარი სპელეო დარბაზები, საოცრება შადრევნები, ტბები. საადამიო, საგუნიოს მიწისქვეშა სიღრმეში ნაპოვნი ტბა 300 მ. სიგრძის,90 მ. სიგანის და 30 მ. წყლის სიღრმით. რომელიც აშშ ახალ აღმოჩენათა ნუსხაშია შეტანილი.

თუ ჩოჩელები და ბოკერიები მოახდენენ 100 ჰა და 200 მ-ი სიმაღლის მთის მძლავრი აფეთქებებით დანგრევას, მიწასთან გასწორებას, რომელსაც ათასეულობით ტონა ტროტილი სჭირდება. მთა ჩამოიშლება და ქვეშ მოიყოლებს მრავალ კულტურას, ადამიანისა და ბუნების მიერ საუკუნობით ნალოლიავებ ხელთუქმნელ სილამაზეს. საჭიროა დროზე შევაჩეროთ ჩოჩელებისა და ბოკერიების მტაცებლური, ანტიეროვნული მადა, თუ ისინი ჯიუტად გააგრძელებენ მძლავრი აფეთქებებით მუშაობას. დაინგრევა ქვემოთ ჩამოთვლილი ეროვნული განძი:

1. ნოეს ქალაქი (ნოქალაქევი)
2. 40 მოწამეთა ეკლესია
3 ტრიუმფალური არკა
4. აკროპოლისი
5. ქარვასლა მარანი
6. გახომელას წმინდა გიორგის ეკლესია
7. ქვედა სორტის მაცხოვრის სახ. ეკლესია
8 ზედა სორტის სამების სახელობის ეკლესია
9. ძველი სენაკის ეკლესია
10. ძვ. სენაკის სამხედრო საფორთიფიკაციო ციხე-სიმაგრე
11. შხეფის ციხე-დარბაზი (საძირკველზე ასომთავრული წარწერით)
12. ქაშოხორის ციხე-დარბაზი-ულამაზესი ჩანჩქერით.(15მ-ი სიმაღლის წყალვარდნით)
13. საკალანდარიშვილოს ეკლესია
14. ონაგურას ციხე
15. მენჯის ეკლესია
16. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია გალავანით.
17. იმანიორის ეკლესია (ნანგრევებშია).
18. დედათა მონასტერი.
19. მამათა მონასტერი
20. ჯეგე მასარიონის წარმართული სამლოცველოს ნანგრევები ბეთლემში და სხვა კულტურის ძეგლები.

ასევე მძლავრი აფეთქებების შედეგად მოსალოდნელია დაინგრეს მიწისქვეშა დარბაზები-მდიდარი სტალაქტიდებით, ჰელიოქტიდებით და სტალაგმიტებით.

დაინგრევა:

1. ჰომონის მღვიმე 4 დიდი დარბაზით
2. მენჯის მღვიმე
3. საკირეს მღვიმე
4. სახარბედიოს მღვიმე
5. საწულეისკიროს მღვიმე
6. საადამიიოს მღვიმე
7. საგუნიოს მღვიმე
8. ოთუნთეს მღვიმე
9. დადიაშ ტაზტას მღვიმე
10. ოღუეშის მღვიმე
11. მენათეს მღვიმე
12. კვარჯღალის მღვიმე

ასევე დაინგრევა ამ მთაზე (უნაგირას მთაზე) არსებული 50-დე უფსკრული (წკვარამი) დაინგრევა:

1. გაგიას წკვარამი სიღრმე 420 მ.
2. ოკარკალეში სიღრმე 410მ
3. მურმანის უფსკრული 350 მ სიღრმის
4. დოხვადიას უფსკრული 350 მ.

დანარჩენი უსახელო უფსკრულებია. გარდა ამისა შეიძლება დაზიანდეს 250 (ძაბრისებური უფსკრულები) ღრმულები. ამათგან მხოლოდ ერთშია წყალი დაგუბებული და მას გაგიას ტბას ხან ფართო წყარს უწოდებენ. ადრე წყლის სიღრმე 15 მეტრი იყო, ახლა 3 მეტრია. უნაგირას მთის ჩრდილოეთის პლატოზე გაედინება 13 წყალუხვი მდინარე, სამხრეთის ფერდობზე 14 მდინარე.

ასევე საინტერესოა:

1. საკირეს შადრევანი
2. სახარბედიოს შადრევანი
3. საწულეისკირიოს შადრევანი
4. საადამიოს შადრევანი
5. შხეფის შადრევანი
6. უნაგირას მთის ძირები მდიდარია ჩნჩქერებით, ასე მაგალითად:
    1. სახარბედიოს ჩანჩქერი
    2. საადამიოს ჩანჩქერი
    3. კოტიანეთის ჩანჩქერი
    4. გახომელას ჩანჩქერი
    5. ნოქალაქევის ჩანჩქერი

მუკოტახილის მიდამოებში დედამოკასთან მძლავრი აფეთქებების შედეგად შეიძლება მეწყერი ჩამოწვეს და თან ჩაიტანოს დედამოკას მარჯვენა სანაპიროზე არსებული სიმდიდრეები:

1. პალეოცენის
2. ეოცენის
3. მიოცენის
4. პლეისტოცენის რღვევადი ქანები.

ეს ქანები მსხვრევადია, ვერ იტანს რყევებს (მხედველობაში გვაქვს მძლავრი აფეთქებები). სოფელ ნოსირში ცემენტის ქარხნის აშენების შემთხვევაში ცემენტის მტვერით დაიფარება დასავლეთ საქართველოს ულამაზესი ქალაქები: სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ფოთი, მარტვილი. (გააჩნია ქარის მიმართულება).

მაგალითისთვის კმარა კასპიის ცემენტის მტვრის მოძრაობა, იგი 25-30 კმ-ზე ვრცელდება. ცემენტის მტვერი იწვევს სხვადასხვა სახის დაავადებებს, ფილტვების კიბოს, კანის კიბოს, თმის ცვენას, გინეკოლოგიურ დაავადებებს, თვალის ატროფიას, ფილტვების სხვადასხვა სახის დაავადებებს, ტუბერკულოზს და სხვას. გამოდის რომ ნოსირში ცემენტის ქარხნის მშენებლობა სენაკისა და მის მიმდებარე ქალაქებში მრისხანე ავადმყოფობის ცენტრად იქცევა.

დროა ერთიანი ძალისხმევით შევაჩეროთ კოტიანეთის კირქვის კარიერის აფეთქებები და სოფელ ნოსირში ცემენტის ქარხნის მშენებლობა. დროა შევაჩეროთ კოლხური ცივილიზაციის განადგურების მოსურნე მტრები ჩოჩელებისა და ბოკერიების სახით. დროა ქუდზე კაცების გამოსვლით შევაცეროთ სამეგრელოზე დაგეგმილი ვანდალიზმი.

უნდა აიკრძალოს კოტიანეთის კირქვოვან კარიერში სოფელ ნოსირის ცემენტის ქარხნისთვის საჭირო კირქვოვანი ნედლეულით მომარაგება.

მე-20 საუკუნის 70-80-იან წლებში უზბეკეთის დედაქალაქში მომხდარი მძლავრი მიწისძვრის შემდგომ შექმნილმა ტაშკენტის სეისმოცენტრმა აკრძალა უნაგირას (ეკის) მთაზე ყოველგვარი აფეთქებები, კერძოდ, დაიხურა სენაკის, საქართველოში ცნობილი კირის ქარხანა. სახარბედიოს კირქვის კარიერი, საჩიქობაოს კირქვის კარიერი. კოტიანეთის კირქვის კარიერი და ბეთლემის კირქვის კარიერი.

2. სპელეოლოგების სკანდალური პროგნოზი.

3. საქართველოს გეოგრაფიის, გეოლოგიის, გეოფიზიკის მეცნიერმუშაკთა ჯგუფის, ზაზა ლეჟავას, კუკური წიქარიშვილის და ნანა მოლაშვილის კვლევები: „ეკის მთის კასტუმ ჰიდროლოგიური და სპელეოლოგიური კვლევის წინასწარი შედეგები.

4. ი. ბოჯგუას, მ. ბოჯგუას და ირაკლი ცხვიტავას მიერ აღმოჩენილი და შესწავლილი ეკის მთის სტერეო დარბაზები და ზედაპირის რელიეფური მდებარეობის შესახებ მასალები.

5. კოტიანეთის მთის ზედაპირზე 100 ჰა ტყის უნებართვო ამოძირკვა და 100 ჰექტარი საძოვრის ხელყოფა. ვანდალური ქმედების მაგალითები ფოტო და ვიდეო მასალები.

აი, ის სენაკის რაიონის ეკის მთაზე არსებული კულტურისა და ბუნების ნაქანდაკარი ძეგლების ჩამონათვალი, რომლებსაც ემუქრება ჩოჩელებისა და ბოკერიების მიერ მიწასთან გასწორება.

ანდრო კანკავა
იგორ ბოჯგუა
„ფაზისის" საერო-სამეცნიერო აკადემიის წევრები,
აკადემიკოსები

## შეხვედრა თევზის გადამამუშავებელი ქარხნების წარმომადგენლებთან
## ფოთელებს თევზის სუნი არ უნდა აწუხებდეთ



ქალაქ ფოთის მერი **გოჩა კურდღელია** თევზის გადამამუშავებელი საწარმოების შპს „აისბერგ-2"-ის, შპს "შავი ზღვის პროდუქტები"-სა და შპს „მადაის" ხელმძღვანელებს შეხვდა. საუბარი ქარხნების სამუშაო და პროდუქციის ტრანსპორტირების პროცესში ტექნიკური ნორმებისა და სტანდარტების დაცვას შეეხო. „უნდა გატარდეს მაქსიმალური ღონისძიებები, რათა თავიდან ავიცილოთ უსიამოვნო სუნი. მისასალმებელია, რომ ფოთში თევზის მრეწველობა ვითარდება და პროდუქცია ექსპორტზე გადის, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს ჩვენი თანაქალაქელების დისკომფორტის ხარჯზე"-აღნიშნა ფოთის მერმა გოჩა კურდღელიამ. ქალაქის მერი მზადაა ერთობლივი ღონისძიებების გასატარებლად ,რათა დაჩქარდეს პრობლემის მოგვარება . შეხვედრაზე განიხილეს ყველა ფაქტორი, რაც ხელს უშლის თევზის გემებიდან დროულად გადმოტვირთვას, ქარხნებამდე ტრანსპორტირებას და მის დამუშავებას

## მილოცვა

ბათუმის ქალთა ნაკრები ჭადრაკში - „ნონა-2017" წლის ევროპის საკლუბო თასისა მფლობელი გახდა.

თქვენთან ერთად მეც მინდა მივულოცო ეს დიდი წარმატება ჩვენს ულამაზეს მოჭდრაკე გოგონებს, ნინოს, ნანას, ფარიკას, ბელას და სალომეს ჩემი პატარა ლექსით

### ჭადრაკი
(იუმორესკა)

ბრძნულზე ბრძნული თამაშია
ჭადრაკი
ეტლი მიქრის, მეფე მიყავს
ჭარმაგი,
ლაზიერმა პაიკს დასცხო მათრახი,
სიმწრისაგან ცხენმა იწყო
ცახცახი.
ლაზიერო რად გაგვწირე მითხარი,
მეფე მიხვდა შამათი, რომ იქ არი,
გაიცვალა ფიგურები კურაშზე
და პაიკი „მოჯდა" მერვე უჯრაზე.
მეფემ ბრძანა დედოფალი მინდაო,
დედოფალმაც თავი მორცხვად
ჰკიდაო,
ყველა ამბობს სამათრახე,
რომ პაიკს
დედოფლისგან არაფერი სჭირდაო!
პაიკში რომ დედოფალი იცვლება,
ეს ჭადრაკის წესებიდან ირკვევა,
ფიგურების გაცოცხლება კი
ხდება,
ამ დროს მხოლოდ ისევ პაიკი
კვდება,
ეს ასეა, ცხოვრებაა თამაში,
არაკაცი პანღურს გვირტყამს
გავაში,
ვირცხენას რომ ჯორი ქვია
კი ვიცი,
დამერწმუნე მეგობარო ამაში.
ჭადრაკი სულ ბრძნულ თამაშად
დარჩება,
სანამ ზღვები ძირამდე არ
დაშრება,
თაფლი თუა ბზიკ-ფუტკარიც
იქ არის,
არ გეწყინოს არაკაცის მიქარვის!

ნიკო მუმლაძე
2008 წ. თბილისი
ღირსების ორდენის კავალერი
„ფაზისის" საერო-სამეცნიერო
აკადემიის აკადემიკოსი

## *ენა ისტორიის სიცოცხლეა*
## *ფაზისის აკადემიის მორიგ სხდომაზე*
## *თემა: 1. ვინ შექმნა კაცობრიობის პირველი ანბანი*
## *2. მეგრული-იბერიული ბგერასიტყვები, ებრაული ასონიშნების შექმნის საფუძველი*

ფინიკიური-შუმერული, ბერძნული დამწერლობიდან, ეგვიპტური იეროგლიფებიდან დღემდე საინტერესო გზა გაიარა ანბანურმა დამწერლობამ, მის გარეშე მართლაც წარმოუდგენელია ცივილიზაცია, მასში თავისი გარკვეული ადგილი უჭირავს ქართულ-კოლხურ-იბერიულ ანბანს.

ამ მეტად რთულ და ბოლომდე მიუწვდომელ თემაზე საინტერესო მოხსენება გააკეთა ცნობილმა მკვლევარმა, მწერალმა და პუბლიცისტმა ბატონმა **კუკური ფიფიამ**. იბერიული ენა კაცობრიობის დასაბამის ენაა, მისი ფესვები ღრმა წარსულშია.

მოხსენების ირგვლივ კამათში მონაწილეობდნენ აკადემიის წევრები, ბატონები-ნაპო თოდუა, ვაგნერ მხეიძე და ალეკო გვასალია.

„ფაზისის" საერო-სამეცნიერო აკადემიამ აკადემიის აკადემიკოსად აირჩია ბატონი **პაატა გეგენავა**, რომელსაც აკადემიკოსის დიპლომი და მოწმობა გადასცა „ფაზისის" აკადემიის ფოთის ორგანიზაციის თავმჯდომარემ ქალბატონმა **დოდო ხუხიამ**, მან აღნიშნა, რომ ბატონი პაატა საინტერესო კვლევით მუშაობას ეწევა ტაო-კლარჯეთის ისტორიული ძეგლის შესწავლის საქმეში.

(ვრცლად შემდეგ ნომერში)

სტალინის დაბადების დღეს „ფაზისის" აკადემია მუზეუმს ეწვია და „არგოს" მოდელი უსახსოვრა

# მგზნებარე კოლხიდელს საჩუქარი კოლხეთიდან



„აყვავდი ტურფა ქვეყანავ,
ილხინე ივერთ მხარეო,
და შენ ქართველო სწავლითა
სამშობლო გაახარეო"...
სოსელო

„ფაზისის" საერო-სამეცნიერო აკადემიის (ნუგზარ ნადარაია) საქმიანობის უმთავრესი მიმართულება კოლხეთის დიდი წარსულის კვლევაა, რომელიც ჩვენი ქვეყნის ისტორიის სთავეა, თუმცა, იგი გვერდს არ უვლის თანამედროვეობის მწვავე პრობლემებს. აკადემიის ყოველწლიურ ჟურნალ „ცოტნეიდელში" იბეჭდება მეცნიერული კვლევები, სტატიები ირგვლივ განივითარებულ მოვლენებზე. აღსანიშნავია, რომ აკადემიის საპატიო პრეზიდენტია საქართველოს კათალიკოს პატრიარქი **ილია მე-II** და აკადემიის საქმიანობაც ღვთის რწმენით და სამშობლოს სიყვარულითაა გაჯერებული.

აკადემია მთელს საქართველოში ფუნქციონირებს და ყველაფერს აკეთებს მხარეების გაერთიანებისათვის, ადამიანთა შორის ურთიერთობის განმტკიცებისათვის, რაც ყველაზე დიდი სიმდიდრეა ამ ქვეყანაზე.

გორში, 21 დეკემბერს, სტალინის დაბადების დღეს ამაღლებული სადღესასწაულო განწყობა დაგვხვდა. ქალაქი-საქართველოს გული, ათასი ბრძოლის და ჭირ-ვარამის მომსწრე. მსოფლიოში ყველაზე პატარა სახლი ახალი ნაგებობებითაა შემოსაზღვრული. აქ დაიბადა სტალინი და შორს გაიტანა ქართველი კაცის დიდება, „პატარა გორი დიდია" ხალხის წიაღიდან მოდის ეს ფრაზა. სტალინის ძეგლის კვარცხლბეკი ისევ მოლოდინშია, ისევ ებრძვიან მის ფენომენს, თუ სტალინს ემხრობი ევროპის მტერი ხარ და რუსეთის აგენტი,აი სანამდეა დაცემული მავანთა პოლიტიკური აზროვნება, თუმცა, ამას ხელი არ შეუშლია „ფაზისის" აკადემიისათვის ამოსულიყო გორში და ამ დიდი პიროვნებისათვის პატივი მიეგო. შეხვედრის ორგანიზატორები გახლდათ აკადემიის გორის ორგანიზაციის თავმჯდომარე ქალბატონი **ლია ოქროპირიძე**-სტალინის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი და აკადემიის ორგანიზაციის კოორდინატორი ბატონი **გივი აბალაკი**, ყოფილი პარლამენტარი, პოლიტიკური მოღვაწე.

ქალბატონმა ლია ოქროპირიძემ ისაუბრა სტალინის სახელმწიფო მუზეუმის დაარსებიდან 80 წლისთავის შესახებ, გაიხსენა ღვაწლმოსილი ადამიანები, ვისაც გარკვეული წვლილი მიუძღვის ამ დიდ საქმეში, მან სტუმარ-მასპინძლებს საჩუქრად გადასცა ცნობილი ჟურნალისტის, ვალერი კვარაცხელიას წიგნი „მანიფესტი სტალინზე". მან უდიდესი მადლობა გადაუხადა „ფაზისის" აკადემიის პრეზიდენტს ბატონ **ნუგზარ ნადარაიას** ამ დიდი საჩუქრისათვის- კოლხური „არგოს" მოდელმა მუზეუმის ერთ-ერთი გამორჩეულ ადგილას დაიდო ბინა. უდიდესი იყო ტურისტების ინტერესი, განსაკუთრებით რუსების, ჩინელების, ლატვიელების. „არგოს" მაკეტის ავტორი გახლავთ მხატვარი **ბორის პაპასკუა**, რომელმაც ააწყო არგოს მოდელი.

შეხვდრაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა „ფაზისის" საერო აკადემიის პრეზიდენტი, ბატონი **ნუგზარ ნადარაია**. მან განსაკუთრებით ხაზი გაუსვა სტალინის დამსახურებას ცივილიზებული სამყაროს წინაშე, რომ არ შეიძლება ისტორიული დღეები დავიწყებას მიეცეს, ის ჩვენი ცხოვრების ნაწილია და წაიკითხა მისალოცი ადრესი, რომელიც ამ უდიდეს პიროვნების ღვაწლს კიდევ ერთხელ წარმოაჩენს. ადრესზე გამოხატულია ცოტნე დადიანის ძეგლი და მან არგოს გვერდით დაიდო ბინა.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ მსოფლიო მოგზაურის, მსოფიოს საპატიო მოქალაქის ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიის პრეზიდენტი, პოეტი, პუბლიცისტი, ჟურნალ „ათინათის" რედაქტორი **გულნაზ ხარაიშვილი,** რომელმაც მუზეუმს საჩუქრად გადასცა ჟურნალების კრებული, შემდეგ მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ რეჟისორი **ელგუჯა მგელაძე**, პოეტი **მანანა თარაშვილი, პოეტი ლამზირა შეყილაძე, გორის უნივერსიტეტის ლექტორი ვალერი სუხიშვილი,** რომელმაც მუზეუმს გადასცა სტალინის ხელით დაწერილი ავტობიოგრაფია და საკუთარი პოეტური წიგნი.

ღონისძიებას დაესწრო და სიტყვით გამოვიდა გორის მერი **კონსტანტინე თავზარაშვილი**, რაც ერთგვარი მოულოდნელობაც იყო ცნობილი მოვლენების ფონზე. მან თავის სიტყვაში დიდი სამადლობელი გამოხატა ამ დიდი პიროვნების ასეთი დაფასებისათვის, რომელიც „ფაზისის" აკადემიამ გამოიჩინა.

„ფაზისის" აკადემიის აკადემიკოსმა **პაატა გეგენავამ** თავის სიტყვაში ერთი ისტორიული მომენტი გაიხსენა, როდესაც ფინეთში სატალინი შეხვდა ლენინს და მთის არწივი უწოდა, მან კი მგზნებარე კოლხიდელი შეარქვა და არის რაღაც სიმბოლური კოლხური „არგოს" ხომალდის საჩუქრად გადაცემაში.

მუზეუმში თითქოს ეპოქალური ატმოსფეროა, თითქოს დრო გაყინულა, იმზირება აკუმულირებული საუკუნე, პოლიტიკური ჭიდილის ატმოსფერო-იწყება ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში - კაპიტალიზმი თუ სოციალიზმი, ფარული ომი, ეპოქალური მოვლენები, მტრის დამარცხება მტრის ხელით, ომი და მშვიდობა, ისევ შენება და გამარჯვება.

სტალინმა საქართველო გადაარჩინა-სახელმწიფოდ ჩამოაყალიბა. დღეს კი არავინ იცის საით მიექანება.

მუზეუმის ხელმძღვანელობა ალაფრუშეტით დაგვემშვიდობა, ერთმანეთი ვადღეგრძელეთ იმ ღვინით, სატალინი რომ სვამდა.

შემდეგ ტრადიციულად დიდი მასპინძლობა გაგვიწია ბატონმა **გივი აბალაკმა,** რესტორანი „ნაჭარმაგევი", გამორჩეული სტუმარმასპინძლობა, სადღეგრძელოები სამშობლოზე, სიყვარულზე, რწმენაზე, საუბრები დაწერილ და აწ დასაწერ წიგნებზე.

ასე დავემშვიდობეთ მასპინძლებს „ფაზისის" აკადემიის წევრები ფო-



თიდან- ვაგნერ მხეიძე, გურამ გვაზავა, ალეკო დოლბაია, პაატა გეგენავა, ელდარ მხეიძე და ზურაბ აბრალავა.

ტრადიციულად ტრანსპორტი უფასოდ გამოგვიყო „ფაზისი" აკადემიის წევრმა, გორელმა, მაგრამ უკვე ფოთელმა ბატონმა **ზაქრო გვრიტიშვილმა**. მთელი გზა გულთბილად მოგვემსახურა ავტომანქანის მძღოლი ბატონი **ბაგრატ თურქია**.

სტალინს უყვარდა ეს ქვეყანა, მან ბიბლიის ათი მცნება რეალურ კოდექსად აქცია და ორთავე ქვეყანას-ორთავე სოფელს ემსახურა, სტალინი იყო გენია და მას ვიწრო პოლიტიკური აზროვნება ვერაფერს დააკლებს.

ზ. აბრალავა

---

პრეზენტაცია

## ჭაბუკი ქოიავა
## „კუნძული სოხუმი"



ჭაბუკი ქოიავას წიგნის პრეზენტაციაზე - „კუნძული სოხუმი", საქართველოს ყველა რეგიონებიდან ჩამოვიდნენ პოეტები, მწერლები და მიულოცეს ახალი წიგნის გამოცემა. საღამო მიყავდა პოეტს, სკოლის დირექტორს, დევნილს აფხაზეთიდან ბატონ ოთარ არძიმბაიას, პრეზენტაციას ალამაზებდა ლიტერატურულ მუსიკალური კომპოზიცია.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა საქართვცელოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ქალბატონი **მაყვალა გონაშვილი,** რომელმაც აღნიშნა, რომ ჭაბუკი ქოიავას, როგორც აკაკი წერეთლის პრემიის ლაურეატს სხვა ლაურეატებტან ერთად აკაკის მუზეუმში სპეციალური კუთხეს გაუხსნიან. მას ასევე მიენიჭა ქართული კულტურის ამაგდარის წოდება ქათული კულტურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის. მწერალს მიესალმნენ სამეგრელო ზემოსვანეთის მწერალთა განყოფილების უფროსი, **შუკო ჯიქია,** სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნიის ადმინისტრაციის უფროსი, პოეტი **ლაშა გვასალია**. პოეტები **ლუიზა ჩხეტია, ზოია გრაფიშვილი, რეზო წულაია, ილია ქვარცხავა, ნაპო თოდუა,** აბაშიდან **როლანდ შონია,** პირველკლასელი მარიამ თოფურია, რომელმაც წაიკითხა ჭაბუკი ქოიავას ლექსი „სოხუმზე".

მწერალს წიგნის გამოცემა მიოულოცეს ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **გია დარჯანიამ** და საკრებულოს წევრმა **ჯემალ მიგინეიშვილმა**. დევნილმა აფხაზეთიდან, მხატვარმა **ბორის პაპასკუამ** გადასცა გემის მოდელი ნიშნად აფხაზეთში დაბრუნებისა.

ბატონმა **ჭაბუკ ქოიავამ** მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას წიგნის პრეზენტაციაში მონაწილეობისათვის და მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წელი.

---

მილოცვა

## დავით პაჭკორიას

„ვლოცავ დღეს ჩემი გაჩენის, ბედნიერი ვარ მე"

ყველაზე დიდი საჩუქარი სიცოცხლეა ამ ქვეყანაზე-ამ სამყაროში შემოსვლა, თუმცა, მთავარი ისაა როგორ ვიყენებთ მას. შენ ღირსეულად გამწევი ხარი ხარ სამშობლოს უღლისა, კაცობა და სიყვარულია საგზალი და შენ ამის მაგალითი ხარ. რწმენისთვის ღირდა სიცოცხლე და ცხოვრება ამ ქვეყანაზე, ღმერთსაც უყვარხარ და კაცსაც, სიკეთეს თესავ და კაცობის ეტალონი ხარ. საღვთო ვალის აღსრულებით, კოლხი კაცის ბუნებით გამორჩეული და სასურველი მეგობარი და ახლობელი ხარ.

სულ სირბილით ვერ ივლი კაცი, ჩაიმუხლე, უსამართლოდ გატკინეს გული, ქვეყნის დამაქცევარებმა, მაგრამ არ გატეხილხარ და ბოლომდე დარჩი იმ კაცად ,რისთვისაც უყვარხართ და პატივს გცემთ ქალაქი, მეგობრები.

დავით პაჭკორია-ამით ხომ ბევრი



რამაა ნათქვამი და კიდევ ბევრი დარჩა სათქმელი, კიდევ ბევრი სადღეგრძელო დაგვრჩა დაულეველი!

იხარე და იდღეგრძელე მრავალ ჟამიერ!

მეგობრები

---

მილოცვა

გაზეთ „ნიკოლაძის გზით" რედაქტორს, ბატონ ზურაბ აბრალავას , მოადგილეს ბატონ ივანე ნარმანიას, ოჯახის წევრებთან ერთად ვულოცავ 2018 წლის დამდეგ შობა-ახალ წელს, ვუსურვებ ჯანმრთელობას, წინსვლასა და წარმატებებს როგორც საზოგადოებრივ, ასევე პირად ცხოვრებაში

ნანი მიმინოშვილი

ქალაქის საზოგადოებრივი სათათბირო მოქმედებს

ასე უნახავთ ტყეს შვილებს?

# ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიას ემუქრება თუ არა უჟანგბადობა?

მიმდინარე წლის 26 ოქტომბერს შედგა ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი სათათბიროს სხდომა.

სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ - ,,ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიას ემუქრება თუ არა უჟანგბადობა"?

სხდომას ხელმძღვანელობდა სათათბიროს თავმჯდომარე გერონტი კუხალეიშვილი.

სხდომაზე მომხსენებელმა აღნიშნა შემდეგი:

ფოთი მდებარეობს ზღვის დონიდან 0,8 -2 მეტრ სიმაღლეზე, ქალაქი გაშენებულია ვაკე- რელიეფზე, ჭარბობს ქვიშა და ქვიშნარი ნიადაგები. როგორც ცნობილია კოლხეთის დაბლობის ცენტრალურ ნაწილში არის გრუნტები, რომელიც ლამიანი და ტორფიანია. მიწისქვეშა წყლების დონე ძლიერ ახლოსაა მიწის ზედაპირთან. ამ გარემოებათა ვითარების გამო მეტად თავისებურად ვითარდებოდა მწვანე საფარი, რომელიც წარმოდგენილი იყო დაჭაობებული და ტენიანი ტყეების სახით.

ქალაქის გამწვანების სისტემის ეფექტურობა დამოკიდებულია მისი მიმდებარე ტერიტორიის გამწვანებაზე და ტყის ნარგაობების ერთიან სისტემად მოყვანაში. ამიტომ ქალაქი და მისი საგარეუბნეო ზონებში გამოყოფილი სატყეო პარკის სარტყელი მწვანე ზოლი, რომელიც უშუალოდ ეკვრის ქალაქს ასრულებს განსაკუთრებულ ბუნების დაცვით ფუნქციებს, ამიტომ მიზანშეწონილია ქალაქის მიმდებარე ტერიტორიებზე (ბაღებში, პარკებში, სკვერებში) გაშენდეს აღნიშნულ გარემო პირობებთან შეგუებული მცენარეები: კედარი, ფიჭვი, პეკანი, ჭაობის კვიპაროსი, მარადმწვანე მუხა, მაგნოლია, ცრუქაფურის ხე, განსაკუთრებით ევკალიპტი, რომელიც ხელს უშლის კოღო ანოფელესის გავრცელებას.

ქალაქში არსებული ამჟამინდელი მწვანე საფარის პრობლემების შესწავლის მიზნით მოვინახულეთ სხვადასხვა ადგილები. შევისწავლეთ ბაღების, სკვერების, ქუჩის გაზონებზე დარგული მცენარეთა ბიოლოგიური თავისებურება და იქ არსებული ხარვეზები, გავესაუბრეთ ადგილობრივ მუშაკებს, ვისაც კი შეხების წერტილი ჰქონდა მწვანე საფარის მდგომარეობასთან. ქალაქის კულტურისა და დასვენების ყოფილი დირექტორისგან გავიგეთ, რომ პარკი განაშენებულია 4 ჰექტარზე, სადაც დაახლოებით 1200 ძირი ხეა, აქ მრავალი ათეული წლის წინ დაირგო როგორც ენდემური, ისე რელიქტური ხე-მცენარეები და დეკორაციული ბუჩქოვნები. პარკი მოითხოვს განახლებას, რისთვისაც აუცილებელია ტერიტორიის მოზვინვა და ამაღლება,, უნდა გატარდეს ჰიდროლოგიური ღონისძიებები. დიდი ხანია არ შეწამლულა ხეები სოკოვანი დაავადებებისა და მავნე მწერების საწინააღმდეგოდ. სასურველია ახალი ხეების დარგვა, პარკს სჭირდება განახლება. საგალელო მდგომარეობაა რუსთაველის რკალზეც: მოიჭრა რამდენიმე ათეულწლოვანი ხეები, სამწუხაროა, რომ ჩვენს ქალაქში უხვადაა გადაბელილი ჭადრები და ნეკერჩხლის ხეები, რომლებიც ჟანგბადით ამდიდრებენ ატმოსფეროს.

დღეს ყველაზე მთავარი პრობლემა მაინც ჰაერის დაბინძურების თავიდან აცილების საკითხია. თუ შევადარებთ ევროპის ქალაქებს ფოთში ერთ სულ მოსახლეზე მწვანე საფარის ფართს ძალიან მცირეა, მაშინ როდესაც ევროპის ქალაქებში ეს ფართი 2-ჯერ მეტია მაგალითად: ბუდაპეშტში 1 სულ მოსახლეზე მწვანე ნარგავების სახით 16 კვ/მეტრი მოდის, როსტოვში 26მ/კვ/მ პრაღასა და ბუდაპეშტში 25 კვ/მ, კიევში 17 კვ/მ. ფოთში მწვანე საფარის ფართი კი სულმცირე - 10, 81 კვ/მ-ია ერთსულ მოსახლეზე.

ქალაქის მწვანე მშენებლობის მძლავრი რეზერვია საკარმიდამო ნაკვეთები. სამწუხაროდ ქალაქში იშვიათია თანამედროვე დონეზე გაშენებული საკარმიდამო ნაკვეთები, როგორც დეკორაციული, ისე სასოფლო სამეურნეო თვალსაზრისით. ქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმის განხორციელებისას დღის წესრიგში დგება მისი შენარჩუნების საკითხი, რაც მნიშვნელოვანია ლანშაპტურ არქიტექტურასა და დეკორაციულ მებაღეობაში. მცენარეებს აავადებს ნიადაგში საკვები ელემენტების ნაკლებობა, რაც იწვევს სოკოვან დაავადებას ანთრაქნოზს და მავნე მწერების არსებობა-გამრავლება.

ქალაქში გავრცელებულმა ამერიკულმა პეპელამ მნიშვნელოვნად დააზიანა ჭადარი და სხვა ფოთლოვანი ხეები, რომელსაც ახასიათებს 3-5 წლიანი აღმავლობის ციკლი, მომდევნო წელს იწყებს პროცესის დაღმა სვლას 3-4 წლიანი პაუზით ახალ აფეთქებამდე. ამერიკული პეპელა ახლაც დაფრინავს საკარმიდამო ნაკვეთებზე და უზოგავად აზიანებს ხეხილოვან მცენარეებს, იკვებება, როგორც ნაყოფებით ასევე ფოთლებით, ფოთლები კი, როგორც მოგეხსენებათ სინათლეზე აწარმოებს ფოტოსინთეზს, რაც გარემოში თავისუფალი ჟანგბადის წყაროა. ამას დაემატა ახლახან შემოჭრილი აზიური ფაროსანა, იგივე აზიური ბაღლინჯო, რომელიც წარმოადგენს მავნე მწერს, რომელიც იკვებება მცენარეებით. საქართველოში პირველად 2015 წელს გამოჩნდა და თხილის მნიშვნელოვანი ზარალი გამოიწვია. თხილის გარდა იგი აზიანებს თესლოვან და კენკროვან მცენარეებს, ხეხილის სხვადასხვა სახეობას: კენკროვან და ბოსტნეულ კულტურებს. მავნებლის ძლიერი აფეთქების დროს ზარალმა შეიძლება 70%-ს მიაღწიოს. ფაროსანას წინააღმდეგ საბრძოლველად შექმნილია ცხელი ხაზი - სამეგრელო - 16 600 (ზარი უფასოა), გურია-16 006(ზარი უფასოა), იმერეთი-16 601 (ზარი უფასოა), სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო სამსახური (1501). მცენარით კვებას ფაროსანა გაზაფხულზე იწყებს (აპრილი-მაისიდან), იკვებება ფოთლის, ნაყოფის და ყლორტის წვენით-ძლიერი ხორთუმის მეშვეობით, ახალშემოსულ თხილის ნაჭუჭებს ათხელებს, აზიანებს ნაყოფის შიგთავსს და მასში წარმოქმნის კორტისებრ ლპობად და იძინებს ხეების ფუღუროებში აპრილამდე.

მოსახლეობამ გამოსაზამთრებლად თავშეფარებული მავნებლები უნდა შეაგროვოს და მექანიკურად უნდა გაანადგუროს. მცენარეები ინსექტიცილებით უნდა დამუშავდსეს მხოლოდ მავნებლებით დასნებოვნებულ ადგილებში.

საერთაშორისო ექსპერტების გამოცდილებით აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ყველაზე ეფექტურია ბიფეტრონის შემცველი პრეპარატები.

აუცილებელია დაცვის საშუალებები: სპეცტანსაცმელი, სპეცფეხსაცმელი, აირწინაღი. აკრძალულია თამბაქოს გამოყენება, უნდა დაიხუროს სასმელი წყლის ჭები გამოყენების წინ. უნდა დავამწყვდიოთ ფრინველი, საქონელი. შეწამლული პროდუქტების საკვებად გამოყენება დაუშვებელია 18-20 დღე. წამლობა ტარდება უქარო ამინდში დილას ან საღამოს, ღრუბლიან ამინდში შუადღის საათებში, კარგია წებოვანი ხაფანგების გამოყენება,მსოფლიოს წამყვანი ენტომოლოგების რეკომენდაციით შეწამლვითი სამუშაოების დაწყება მიზანშეწონილია მაის- ივნისში. მავნებელი მწერის დაფრთიანებამდე.

აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებებს სურსათის ეროვნული სააგენტო 3 ძირითადი მიმართულებით განახორციელებს:

1. ჩატარდება სრულმასშტაბიანი მონიტორინგი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. დასავლეთ საქართველოში განისაზღვრება მავნებლის გავრცელების არეალი და დადგინდება ქიმიური შესხურების ზუსტი თარიღი. მონიტორინგის ფარგლებში დაგეგმილია სპეციალური დამჭერი ხაფანგების ფერომონების განთავსება.

2. დაიგეგმება შესაბამისი ღონისძიებები, ქიმიური წამლობა ა) სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სურსათის ეროვნული სააგენტო შეისყიდის შესაბამის პრეპარატებს და ტექნიკას,რომელიც უსასყიდლოდ გადაეცემა ადგილობრივ მუნიციპალიტეტს. მოსახლეობისათვის აზიური ფაროსანას შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიწოდების მიზნით განხორციელდება აქტიური საინფორმაციო კამპანია, მავნებლობის ინტენსიური გავრცელების რეგიონებში შეიქმნება საკოორდინაციო შტაბი. იმუშავებს ცხელი ხაზი. ასევე მუდმივად განახლებადი ვებგვერდი, სადაც განთავსდება მავნებლის გავრცელების ელექტრონული რუკა, ამბობენ გამოყვანიალია მწერთა ახალი მუტაციები ე.წ. რიზოფაგების მსგავსი მწერები, რომლებიც მუსრს ავლებენ ამ მავნე მწერებს. ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეს ამ მავნებლების მოსასპობად. ახლა თითოეულის ქმედებებზე დამოკიდებულია, როგორი იქნება ფოთელების ჯანმრთელობა.

სასურველია და აუცილებელი, რომ მიმდინარეობდეს მუშაობა ნიადაგმცოდნეობა-აგროქიმიის, კულტურათა მოყვანის, ბიორაციონალურ-აგროტექნოლოგიების, ქარსაფარში ტყის ზოლების მოწყობის, მავნებლებისა და დაავადებებისაგან მცენარეთა დაცვის აქტუალურ საკითხებზე მიღებული ზომები, რომლის შედეგები ხელს შეუწყობს კოლხეთის დაბლობის ზომებსა და ქვეზომების სხვადასხვა სპეციალიზაციის ფერმერული მეურნეობის ჩამოყალიბებისა და მის შემდგომ განვითარებას, რაც განაპირობებს ქალაქში მწვანე საფარის შექმნას, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ნიკო ნიკოლაძის მოსვლამდე ფოთში არსებობდა კოლხეთის საცდელი სადგური, ხოლო 2006 წლიდან იგი ფუნქციონირებდა, როგორც საცდელი საკონსულტაციო ცენტრი. იგი განთავსებული იყო ფოთში კურკოვსკის ბაღში. აქ გამოყვანილი ახალგაზრდა ნერგები მრავლად დაირგვება ქალაქის ბაღებსა და სკვერებში და არავის არ ექნება საფუძველი იმის თქმისა, რომ ფოთი უჯანგბადო ქალაქია და მოკლებულია მწვანე საფარს, ამაში მთელი ქალაქის მოსახლეობა და მისი აქტივი ორგანიზაციები უნდა ჩაერთოს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

## შობა-ახალ წელს გილოცავენ თანაქალაქელები!

### გოგი გაგუა
### სრულიად ქართველ თავად აზნაურთა ფოთის საკრებულოს, გმგეობის თავმჯდომარე, ფოთის საგამოფენო დარბაზის მენეჯერი



ცოტაც და ისტორიას ჩაბარდება 2017 წელიც თავისი სიხარულითა და ტკივილებით, ასრულებული და აუსრულებელი ოცნებებით. და მაინც, იმედით შევყურებთ 2018 წლის შემობრძანებას. დაუძლეველი უმუშევრობისა და სიღარიბის ფონზე რა უნდა უხაროდეს ადამიანს, მაგრამ უფრო მეტი სირთულეები გადაუტანია ჩვენს ხალხს,. ამასაც დავსძლევთ. მთავარია, გავუფრთხილდეთ ჩვენს ფასეულობებს, აღვზარდოთ ჩვენი შვილები და შვილიშვილები, ისე როგორც ეკუთვნის ჩვენს გვარიშვილობას, ჩვენს ქვეყანას, ჩვენს რელიგიას. რამეთუ, მართლმადიდებლობა და ქართველლობა იდენტურია, გეამაყოთ თქვენი შვილებითა და შვილიშვილებით, მათ კი თავიანთი წინაპრებით, ერთმანეთის თანადგომით გადაგველახოს ყველა სირთულეები.

უფალი იყოს ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ოჯახების მფარველი.

შობა-ახალწელს გილოცავთ ჩემო ძვირფასო ფოთელებო!

### მიხეილ კილასონია
### ქ. ფოთის ტურიზმის განვითარების ცენტრის დირექტორი



ძვირფასო ფოთელებო, თანამოქალაქენო!.

ქ. ფოთის ტურიზმის განვითარების ცენტრის სახელით მინდა მოგილოცოთ დამდეგი-შობა ახალი წელი. სიკეთის, ბედნიერების, წარმატების მომტანი ყოფილიყოს ეს წელიწადი თქვენთვის. უფალმა გაგახაროთ და გაგაძლიეროთ!



**მილოცვა**

# ვანო ნარმანია-80

კაცი, რომელიც ამშვენებს ქალაქს...

„როგორ ბევრია შვილი ადამის,
როგორ ცოტაა ადამიანი!“
გალაქტიონ ტაბიძე



ჩვენ ყველა ჩვენი მშობლიური ქალაქით ვცოცხლობთ, მაგრამ შენ ჩვენგან განსხვავებით, შენი ღირსებით და საქმიანობით აცოცხლებ ამ ქალაქს... შენ წინაპრების ღირსეული მემკვიდრე ხარ. ყოველთვის სადად და სწორად აზროვნებ.არასდროს გიღალატნია არც სხვებისთვის და არც საკუთარი თავისთვის. რადგან შენ ჯეელობიდან ირწმუნე ჭეშმარიტება ვახტანგ მეექვსის კანონის:,,მოღალატე ყველაფრის ღირსია.“ცნობილია,რომ დიდმა ნიკო ნიკოლაძემ თავის სამოღვაწეო ასპარეზად ფოთი აირჩია და ჩვენ რატომ უნდა გვქონოდა სხვა არჩევანი და მიზანი?..შენ არასოდეს არაფერი არ შეგშლია და ჩვენი სიბრძნის მაწოვებელი დედა უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, დაუბრუნდი შენს „ოდაბადეს.“საუკუნეთა სიბრძნით დატვირთულ და ლეგენდარულ ქალაქს“ოქროს საწმისისა“ და მედეას სამშობლოს.შენი მოკრძალებული, საოცარი სიყვარულითა და მზრუნველობით ელოლიავები ამ ქალაქს,მის ქუჩებს და ბაღებს, ყოველ ხესა და ბუჩქს, მწვანე ბალახებსა და ფოთლებს.შენც ხომ ვაჟა- ფშაველას ცომისგან მოზელილი პოეტური სულის კაცი ხარ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი სახელობის კაბინეტში დარწეულა შენი სიბრძნის აკვანი...მზესთან შეჯიბრშიც კი შენი მშობლიური ქალაქის გამარჯვება გინდა,თავზე მეტად გიყვარს შენი ქალაქი ფაზისი-ფოთი და შენი ხალხი. ამიტომაც აგირჩიეს ,,ფოთის საპატიო მოქალაქედ.“ ამ სიყვარულში შენი ცხოვრების ოქროს შემოდგომაც დამდგარა... და ყველაფერი მართლა შემთხვევითი როდია, რომ ასე ლამაზად და კოხტად გეჩვენება. ამ უკვდავებად ჩამონადენ მშვენიერებაში შენი ლომის წვლილიცაა. შენ ამ მზისფერ ქალაქში მოღვაწეობ აგერ უკვე ექვსი ათეული წელია,შენ იყავი ახალგაზრდობის თავკაცი,სკოლის დირექტორი, რესპუბლიკაში აღიარებული ქალაქის განათლების სისტემის ლიდერი,მთელი კავშირის მასშტაბით საუკეთესო და სახელოვანი პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორი.შენ ეს ესტაფეტა ამ დარგის ცნობილი მენეჯერის შოთა რუხაძისაგან მიიღე. ამ სასწავლებელში მზადდებოდა კონკურენტუნარიანი კვალიფიციური კადრები,რომელთაც იწვევდნენ სამუშაოდ საზღვარგარეთის ქვეყნებში. მათი მონაწილეობის გარეშე,ყველაზე ამბიციური პროექტით, არც ასუანის უზარმაზარი და გიგანტური კაშხალი აშენებულა...დღეს კი,აქტიურად მონაწილეობ,ილიას სიტყვებით,რომ ვთქვათ:“იმისთანა წმინდა საქმეში,როგორც ბეჭდვური სიტყვაა... “ეროვნულ - საზოგადოებრივი და პოლიტიკურ გაზეთ,,ნიკოლაძის გზით“ საქმიანობისა და სიცოცხლისუნარიანობის ამაღლებაში...და ყველაფერი ეს ისე უბრალოდ როდი ხდება...შენც ნიკო ნიკოლაძესავით შეგიძლია უთხრა შენს მშობლიურ ქალაქს,გულიდან ამოტანილი სიტყვები: “მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი, როგორც შემეძლო...“

ჩემო ვანო, ჩვენ ხომ სკოლის, სტუდენტობის და ცხოვრების საუკეთესო მეგობრები ვართ. რამდენი რამის გახსენება შეიძლება,როგორც შენ გიყვარს ხშირად ამაზე ლაპარაკი და უნდა გავიხსენოთ კიდეც,მაგრამ ახლა ჩემი ჯერია ,, ქება გმართებს ვაჟკაცისა...“ბრძანებს ბატონი კონტანტინე და მეც ხოტბა და ,,ქებათა ქება“ მინდა შეგასხა შენ,როგორც ღირსეულ და ჭეშმარიტ მამულიშვილს,თუნდ რუსთაველის ლექსი გავქურდო...ჰოდა ასე,უპირველეს ყოვლისა მინდა გავიხსენო შენი მშობლიური სკოლის და დედა უნივერსიტეტის პროფესორ მასწავლებლები:პიმენ ნაცვლიშვილი,თინათინ ჭოჭუა, პორფილე ბარამიძე, აკაკი შანიძე, კორნელი კეკელიძე,შალვა ნუცუბიძე, მიხეილ ზანდუკელი და სხვები. აღნიშნული გარემოება, შენ უფლებას გაძლევს ალექსანდრე მაკედონელივით ამაყად და ხმამაღლა თქვა:“მე ჩემმა მშობლებმა მაჩუქეს სიცოცხლე, მასწავლებლებმა კი ცხოვრების ღირსი გამხადეს.“შენ უბედნიერესი კაცი ხარ,როგორც მგზნებარე კოლხიდელი და ჭეშმარიტი უნივერსიტეტელი,რამდენადაც შენ ბედნიერება გერგო წილად უნივერსიტეტში გესწავლა მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ უნივერსიტეტის უნიკალურ და ისტორიულ ბაღში, საქართველოს მომავალი პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას თავკაცობით საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა ყალბდებოდა და ფეხს იდგამდა. შენ ბევრჯერ ყოფილხარ ამ ეროვნული და ცეცხლოვანი სერობის უშუალო მონაწილე და მოწმე...ამიტომაც რა გასაკვირია, რომ შენ ყოველთვის ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე დგახარ.შენ ხარ რაინდული სულის კაცი,კარგი ყმა,რომელსაც მუდამ კარგად ესმის“ხმა ღვთისა და ხმა ერისა.“შენი ცხოვრების დევიზია“საქართველო უპირველეს ყოვლისა!“ამ სიყვარულისათვის სიცოცხლე,მართლაც ღირდა...

შენი უბრალო გახსენებაც კი,ჩემო ვანო,ჩემში ამძაფრებს პოეტურ განწყობა-ემოციას,პოეტური ხედვით მშვენიერთან და ამაღლებულთან ზიარების განცდას. შენ ყველამ ვიცით,რომ პოეზიით სუნთქავ და სულდგმულობ, შენ როგორც ჭეშმარიტი მოქალაქე და მამულიშვილი ყველას სათქმელს ამბობ,ვერ ურიგდები იმას,რომ წინათ ევროპის კარიბჭედ აღიარებული ქალაქი ფოთი,დღეს უყურადღებოდაა მიტოვებული...იმედია ღმერთი არ გაგვწირავს და მომავალში ყველაფერი კარგად იქნება.

ცხოვრება იმიტომ არის ასე კარგი, რომ მას შენისთანა ვაჟკაცები ამშვენებენ, ალამაზებენ და ამდიდრებენ.თუმც,დღეს ინფლაცირებულ საზოგადოებაში,ძნელია ისეთი კაცის პოვნა,როგორიც შენ ხარ. ამიტომაც გვიყვარხარ, თავს ბედნიერად ვთვლით,რომ შენ ხარ ჩვენი საიმედო და უცვლელი მეგობარი, გემის კაპიტანი,თაობის ბაირახტარი.უფლის დიდი მადლია, რომ შენ არსებობ და დადიხარ ამ დალოცვილ მიწაზე...გულწრფელად გილოცავ დაბადების 80 წლის იუბილეს.გისურვებ ყველა სიკეთეს და ადამიანურ ბედნიერებას.დე, შენმა ნერგმა ყველგან იხაროს,რომ მტერმა ჩვენზე ვერ გაიხაროს. ცოცხალი სიტყვა,მგრძნობიარე გული და ნათელი გონება დიდხანს არ მოკლებოდეს შენი სახით,შენს „ოდაბადეს“ და შენს მშობელ ხალხს,ჩვენს ცა-ფირუზ,ხმელეთ-ზურმუხტოვან საქართველოს.

და ბოლოს,ჩემი დიდი პატივისცემა შენდამი,როგორც პოეტური ბუნების დიდი კაცისადმი, ჩვეულებრისამებრ, მინდა ლექსით გამოვხატო:

შენს სულში,გულში,მართლა მზე ბუდობს
და მის სხივებით ათბობ ქვეყანას,
მარადისობის ვარსკვლავი შენ ხარ,
მიტომც ბრწყინავ და ყველას უყვარხარ.
გფარავდეს ღმერთი!
ჩვენი თაობის სახელით

**გულთაზ ლაბარტყავა,**
**ქალაქ ფოთის საპატიო მოქალაქე**

**წლები და ადამიანები**

## აკაკი ტიკარაძის ხსოვნას
## დიდი რედაქტორი, ჟურნალისტი და მოქალაქე

2001 წლის 8 თებერვლის გაზეთ ,,ფოთის უწყებანი”-ში ( რედაქტორი ბატონი ზურაბ აბრალავა) გამოქვეყნდა ბატონ აკაკი ტიკარაძეზე გამოსათხოვარი წერილები. მას ეთხოვებოდნენ მისი ყოფილი თანაგუნდელები, რომლებმაც კარგად იცოდნენ თუ რას წარმოადგენდა ცნობილი რედაქტორი აკაკი ტიკარაძე. მას შემდეგ 17 წელი გავიდა. მე მას ვიხსენებ, როგორც არაჩვეულებრივ ადამიანს, თავისი ნიჭით, ცოდნით, გრძნობებით, უშუალობით,იუმორით, თავმდაბლობით, პირდაპირობით და ფოთის უანგარო სიყვარულით განჭვრეტილს. მოწიწებით ვიხრი თავს მისი პიროვნების ღირსებების წინაშე. მინდა ლექსით გამოვხატო მისდამი პატივისცემა.

აკაკი ტიკარაძეს!
სიყვარულით გიხსენებ
ჩემო კარგო აკაკი.

ხშირად წარსულს ვიხსენებ
რა დრო იყო, რაკარგი.
ნაღდი იყავ და ვარგი,
სულ წიგნებში ჩართული,
გაზეთის რედაქტორი
გამართული ქართულით.
კაცი იყავ გულწრფელი,
ბევრმა ბევრჯერ გიგანა
ვერაფელი დაგაკლეს
ყველა იმათთაგანმა
შენ იყავი ჟურნალისტთა
პატრიარქი ქებული.
ნიჭიერი, კეთილი
და თან თავდადებული.
სამშობლოს რომ უჭირდა
მოხალისედ წახვედი
წარმატებით იბრძოლე
ტყუილად არ გარჯილხარ
სიცოცხლეში ატარე
ტყვია მხარში ჭედილი.
გაწუხებდა,ითმენდი
იყავ გამობრძმედილი.
ტყვიას ვერ შეელიე,
საფლავში ჩაიტანე,
რელიქვიად წაიღე
დარდიც თან გაიტანე.
მაპატიე გავბედე
შენზე ლექსის დაწერა
პატივი გამოვხატე
არ გამიჭირდა წერა.

მაყვალა შეროზია
2017 წელი

## ნაჯო თოდუა
## ცნობილი მეფუტკრე და სახალხო მთქმელი



მიწამე

მე შენი მწამს მაგრამ ჩემიც იწამე,
ერთგული ვარ, გჯეროდეს და მიწამე.
თუ ვცრუობდე მომაყარე მიწა მე,
ნუ გამწირავ მიპატრონე, მიწამლე.

უშეცდომო

რაც დრო გადის ვაკვირდები,
ღირსეული უფრო ვხდები,
სად გავჩერდე, სად ვუცდი
უშეცდომოდ უმალ ვხვდები.

ბედნიერი

ის უზომოდ ბედნიერი ვისაც სწყალობს სად არი,
სად იპოვა საწუთროში სიტყვა შენი სად არი,
რომ ზიდოს მან ეს ტვირთი, კისრულობს და მზად არი.
ხიფათს მკვრს შეეტრება მაგრამ ცოდო არ არი.

მიკვირს

სულაც არ მიკვირს გასაკვირი მიკვირდეს,
წუწუნი არ მიყვარს რაც არ უნდა მიჭირდეს.
არც მაშინ ვბობოქრობ, რაც არ უნდა მილხინდეს.
ჩემი შუა ხაზი მაქვს, რაც არ უნდა გიკვირდეს.

## გფარავდეთ უფალი!



უფლის მოწოდებაა, ვაკეთოთ სიკეთე, გვიყვარდეს ერთმანეთი არ ჩავიდოთ გულში ღალატი, ვეცადოთ ჩვენზე მეტად-უკეთესად ცხოვრობდეს ნებისმიერი მაცხოვრებელი, საქართველოს მიწაწყალზე.

ეს მოწოდებები სულ გულში მქონდა, დღესაც მაქვს და მექნება სიკვდილის უკანასკნელ წუთამდე. ქართველი ხალხი ძალიან დაჩაგრულა, საქართველოში არის ორი ფენა: მდიდრები და ღატაკები.საშუალო ფენა არ არსებობს.

არ ვიცი ეს ჭირ-ვარამი სანამდე გაგრძელდება.ხალხს ბანკის-სესხებმა და ვალებმა სული ამოხადა. ბევრმა ვეღარ გაუძლო, ყოველივე ამას და თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. უკეთესობას მე ვერ ვხედა ვრაც დრო გადის, სამოთხის კარებს ვერ ვხედავთ ჯოჯოხეთისკენ მივექანებით.

ერთ-ერთი გამოსავალი არის ვილოცოთ, ყოვლის-შემძლე ღმერთს შევთხოვოთ ???

უფალმა მომცა იმის შეგრძნება, ვაკეთოთ ჯვარი რაზეც ქრისტე აცვეს. ხალხი სიყვარულისთვის ამ ჯვარს ატარებს ასობით ადამიანი

ჩემი სურვილია და მოწოდებაც, იმედი მივცე, ვანუგეშო! საქართველო დადგება ფეხზე. მზეც ამობრწყინდება ჩვენს გადასარჩენად.

,,უფალის ჩვენთან არს”. უფლის მადლი შეგვეწიოს ქართველნო და მთლიად საქართველოს ამ იმედით გილოცავთ ახალ წელს!

**ჰამლეტ კაკულია**

**რედაქციისგან:** სახალხო მთქმელი, კარგი მელექსე ჰამლეტ კაკულია ერთი უბრალო მძღოლია; მაგრამ ცნობილია სიკეთით, რწმენით, კაცობით, უფალს საქართველოს გადარჩენას ევედრება, ჯვრებს ამზადებს და ყველას ჩუქნის, ვულოცავთ შობა-ახალ წელს. ამ მართლაც ღვთისნიერ კაცს.

**მილოცვა**

## ახალგაზრდები ხალხის სამსახურში
## იკა ფიფიას, ზურაბ ნიკოლეიშვილს

იშვიათად შეხვდებით ახალგაზრდებს, რომლებიც სპეციალობის კარგი ცოდნით და ამავე დროს კეთილშობილებით, ზრდილობით და კომუნიკაბელობით გამოირჩევიან. მათ ყველა ემადლიერება და წარმატებებს უსურვებენ.ჩვენც ვულოცავთ შობა-ახალ წელს და ვუსურვებთ ბედნიერებასა და სიხარულს.

ახალგაზრდა სპეციალისტები მზად არიან დაგიყენონ კონდიციონერები, წყლისა და გაზის გათბობის სისტემები. ასევე, შეგიძლიათ გამოიძახოთ დაზიანების დროს.
დარეკეთ მობილურზე: 551 999 111 იკა.

# 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის კენჭისყრის შედეგები ცნობილია




14 ივნისს სტარტს მსოფლიო ჩემპიონატი აიღებს. ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას პლანეტის საუკეთესო 32 ნაკრები მიიღებს, 14 ივნისს დაიწყება.
ამის შესახებ ინფორმაციას სპორტული პორტალი სარბიელი ავრცელებს.

გუნდები ჯგუფებში ასე გადანაწილდნენ:

A ჯგუფი: რუსეთი, საუდის არაბეთი, ეგვიპტე, ურუგვაი.

B ჯგუფი: პორტუგალია, ესპანეთი, მაროკო, ირანი.

C ჯგუფი: საფრანგეთი, ავსტრალია, პერუ, დანია.

D ჯგუფი: არგენტინა, ისლანდია, ხორვატია, ნიგერია.

E ჯგუფი: ბრაზილია, შვეიცარია, კოსტა რიკა, სერბეთი.

F ჯგუფი: გერმანია, მექსიკა, შვედეთი, სამხრეთ კორეა.

G ჯგუფი: ბელგია, პანამა, ტუნისი, ინგლისი.

H ჯგუფი: პოლონეთი, სენეგალი, კოლუმბია, იაპონია.

მსოფლიო ჩემპიონატს, 2018 წლის 14 ივნისიდან 15 ივლისამდე, რუსეთის 11 ქალაქი უმასპინძლებს.

## მილოცვა
## შალვა (შაკო) მამუკას ძე საჯაია ახალ არენაზე



შვილის წარმატებები ყველაზე დიდი საახალწლო საჩუქარია მშობლებისთვის. შაკო საჯაია ფოთის საფეხბურთო სკოლის აღზრდილია, დღეს იგი მიწვეულია თბილისის საბურთალოს რაიონის წამყვან გუნდში, რომელიც წარმატებებს აღწევს მსოფლიო არენაზე, რაშიც თავისი ღირსეული წვლილი შეაქვს შაკო საჯაიას. იგი პატივისცემით საუბრობს თავის მწვრთნელებზე, ანზორ მიქელაძეზე, ლერი ცირამუასა და ნუგზარ ლემონჯავაზე. იგი განსაკუთრებულ მადლობას უხდის ბიზნესმენ კახა ლატარიას ფინანსური მხარდაწერისა და თანადგომისათვის და ულოცავს შობა-ახალ წელს, წარმატებებს უსურვებს პირად და საზოგადო ცხოვრებაში.

ჩვენც ვულლოცავთ შაკოს და მის მშობლებს ახალი წლის დადგომას და მადლობას ვუხდით კარგი შვილის აღზრდისათვის. როგორც იტყვიან: ,,კიდევ გაზარდოს დედამა"...

გაზეთ ,,ნიკოლაძის გზით"
რედაქცია

## ხსოვნა ჯემალი (ჯემიკო) ლემონჯავა

,,ო, აფხაზეთო, ბევრი კარგი მოყმის გამზრდელო,
ამორძალი ხარ მკერდ მოჭრილი უსაქართველოდ"...

შოთა ნიშნიანიძე

,,ვერ გაუძელი, ტკივილს,, ალბათ, ტკივილს საშინელს,
და ბედი შენი ერთ პატარა თოკზე დაკიდე...



ძნელია შეეგუო აზრს, რომ კაცი მშრომელი, სამშობლოს, ოჯახის მოსიყვარულე, ასე გაწირავდა თავს.

მან ხომ ერთხელ უკვე გაწირა თავი, როცა იარაღით ხელში იცავდა თავის მიწაწყალს, თავის მამულს, თავის აფხაზეთს, ამიტომაც იყო შავ სიაში შეტანილი,. არ დაბრუნების ტკივილმა და ნოსტალგიამ, თავისი სამოთხესავით ოდაბადესი გადააწყვეტინა ალბათ, ამ ნაბიჯის გადადგმა, თორემ ,,თავს არ მოიკლავს ქართველი არა", ძნელი იყო მისთვის ამ ქვეყნად ყოფნა, მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი ამქვეყნიური ბედნიერებისათვის გააჩნდა. მოსიყვარულე, ერთგული, მშრომელი მეუღლე, ქალბატონი ფირუზა ხომ დედაბოძივით edga გვერდით, ქალიშვილი მარიკა თავს ევლებოდა, სიძე გოგა ვაჟიშვილივით გვერდს უმშვენებდა. თავად კი შვილიშვილს ნიკუშას მზეს ფიცულობდა. ედემივით ქონდა მორთულიო კარ მიდამო, ესეც, ხომ მისი ოდაბადე იყო, აკაკისა არ იყოს, ,,რას ინატრებდა კაცი ამაზე მეტს მისებრ დანაბადი", მაგრამ...

მაგრამ, შეწყდა სიცოცხლე და უდიდესი ტკივილი დაუტოვა ყველას, თავად წავიდა ზეცას, სადაც მართალნი განისვენებენ.

წავიდა ამ ქვეყნიდან კიდევ ერთი ვალმოხდილი მამულიშვილი, გვჯერა მისი ოჯახი ღირსეულად გააგრძელებს მის მიერ დაწყებულ საქმეს, რამეთუ შვილმა და შვილიშვილმა უნდა იცოდეს სად გაჩერდა მამა და ბაბუა. ხოლო ცალუღელად დარჩენილი ქალბატონი ფირუზა არ გააციებს კერას და ღირსეულად ატარებს ჯემიკოს სახელს.

იძინე მშვიდად ჩვენო დაუვიწყარო, ჯემიკო. ჩვენ კი გულმხურვალედ ვილოცებთ, რათა სამოთხეში დაივანოს შენმა ცოდვილმა სულმა.

ღმერთს ებარებოდე.

ვანო ნარმანია

## ჩატარდა ჯემალ თოფურიას ხსოვნისადმი მიძღვნილი საჭადრაკო ფესტივალი



ამასწინათ ჩატარდა ჯემალ თოფურიას ხსოვნისადმი მიძღვნილი მე-8 საჭადრაკო ფესტივალი. თასებით, მედლებითა და საჩუქრებით, ფესტივალის სხვადასხვა ტურნირებში გამარჯვებული, 50 მოჭადრაკე დაჯილდოვდა. გარკვეულ კატეგორიებში დაწესებული იყო ფულადი პრიზები.

ფესტივალის დახურვას ქალაქ ფოთის ვიცე-მერი მამუკა პაპასკირი, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ინგა მასხულია, ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ბაქარ ერაგია, რეგიონის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი გერმანე სალია, ჯემალ თოფურიას ოჯახის წევრები დაესწრნენ. მათ მოჭადრაკეების დაჯილდოვებაში მიიღეს მონაწილეობა.

ტურნირებში 300-ზე მეტი მოჭადრაკე ღებულობდა მონაწილეობას. ფესტივალის



გენერალური სპონსორი იყო შპს „კავტრექსფოთი", (გენ. დირექტორი რობერტ გვაზავა). ხოლო ორგანიზატორი ფოთის მუნიციპალიტეტის საჭადრაკო კლუბი „ნანა".

---

ინგა და ზურაბ აბრალავები იზიარებენ ბადრი ბასილაიას მწუხარებას დის გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს...

---

გაზეთ ,,ნიკოლაძის გზით" რედაქცია იზიარებს ალმისტერ ნემსაძის მწუხარებას სიდედრის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს ჯანდაცვის ოჯახს

---

ნინო მიმინოშვილი მწუხარებას გამოთქვამს გია და რუსიკო ჯანელიძეების დედის

ციალა ანდღულაძის

გარდაცვალების გამო

---

მედიკო და ვანო ნარმანიები, ქეთი და მამუკა გოგინავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჯემიკო შალიკოს ძე ლემონჯავა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებიულის ოჯახს

რედაქციის მისამართი: ქ.ფოთი, თამარ მეფის №52 , საკონტაქტო ტელ: (0493) 22-25-13 გაზეთი იბეჭდება ქალაქ ფოთში შ.პ.ს. ,,ირიდაში"
E-mail: k.khobalia@gmail.com
რედაქტორი
ზ. აბრალავა